

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და  
ეთიკის კომისიის“ მოსახლეობასთან შეხვედრის  
ოქმი N 2**

**შეხვედრის ადგილი:** ლანჩხუთი. კურორტ გრიგოლეთის მოსახლეობა

**შეხვედრის ჩატარების თარიღი:** 21. 04. 2022 წელი. 14:00 საათი

**შეხვედრას ესწრებოდნენ:** საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ თავმჯდომარე - **გიორგი ხელაძე**, კომისიის წევრი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე და სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი **ია მოქია**, კომისიის წევრი: **დარეჯან ბურჭულაძე**. მერის წარმომადგენელი სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში **დავით გუმბარიძე**, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე**, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ნინო ჭანტურიშვილი**, მოწვეული პირები.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ **მამა ზაბულონი და დედა ემილია**.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ“ საქართველოს მთავრობის N 239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კონსულტაცია გამართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ კურორტ გრიგოლეთის მოსახლეობასთან, ცენტრალური ქუჩისათვის წმ. გრიგოლის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე** მიესალმა მოსახლეობას და მადლობა გადაუხადა მოზრმანებისთვის. მან აღნიშნა, რომ ამ დღეებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით მომართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ კურორტ გრიგოლეთში მცხოვრებმა მოსახლეობამ, დაახლოებით 90 პიროვნება. მათი ინიციატივაა, რომ არსებულ ცენტრალურ ქუჩას მიენიჭოს წმ. გრიგოლის სახელწოდება, რასაც მხარი დაუჭირა კომისიის ყველა წევრმა.

სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ გრიგოლეთი წარმოადგენს საკურორტო ზონას, ზაფხულის თვეში მრავლადაა ტურისტები, დამისამართების არქონის გამო უჭირთ კონკრეტული სასტუმროს ან ადგილმდებარეობის დაზუსტება, ასევე უჭირთ სასწრაფო და სამაშველო გადაუდებელ სამსახურებს შემთხვევის ადგილზე მისვლა, ადამიანები კი ვერ სარგებლობენ ელექტრონული სისტემის მეშვეობით იპოვონ ადგილმდებარეობის ზუსტი მისამართი. სწორედ ამ პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, რათა გაუადვილდეთ მუშაობა სამსახურებს, მოსახლეობას და უცხოელ ტურისტებს,

რამდენიმე თვეა მოსახლეობასთან აქტიურად თანამშრომლობით და მათი ინიციატივით მიმდინარეობს მუშაობა გრიგოლეთის მთავარი ქუჩის დამისამართების საკითხზე. მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნით შეირჩა წმინდა გრიგოლის სახელწოდება, რადგან გრიგოლეთში მდებარეობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ეკლესია და მოსახლეობა ამ ტაძრის მრევლია. იმისათვის, რომ გრიგოლეთი მეტად განვითარდეს, ზაფხულში გახდეს უფრო მიმზიდველი და პერსპექტიული ის მხარს უჭერს მოსახლეობის ინიციატივას გრიგოლეთის N1 და N2 ქუჩებისთვის (მთავარი ქუჩისთვის) წმინდა გრიგოლის სახელწოდების მინიჭების შესახებ მოსახლეობის ინიციატივას.

**დედა ემილიამ** აღნიშნა, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველი მოსახლეობამ აირჩია სოფლის მფარველად და ცენტრალური ქუჩისთვის წმინდანის სახელის მინიჭებას სულიერი დატვირთვაც გააჩნია.

შეხვედრას ესწრებოდა სოფლის მაცხოვრებლები. მათგან აზრი გამოთქვეს **დოდო კურდღელიამ, ჟანა შენგელიამ, ედემ გაბისონიამ**. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ მოხარული იქნებიან თუ დროულად მოხდება ცენტრალური ქუჩისთვის წმინდა გრიგოლის სახელის მინიჭება, რასაც შეხვედრის ყველა მონაწილემ დაუჭირა მხარი.

**გიორგი ხელაძემ** კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა მოსახლეობას მოზრძანებისთვის, მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ იმედი აქვს, დროულად დასრულდება პროცედურები, რათა კურორტ გრიგოლეთში მთავარ ქუჩას მიენიჭოს წმინდა გრიგოლ წინასწარმეტყველის სახელწოდება.

პატივისცემით,

გიორგი ხელაძე



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე